მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლობა საქართველოში ახალ პროექტს ახორციელებს, რომლის მიზანია მეტი თანამშრომლობა საზღვრების დაცვისა და უსაფრთხო მიგრაციის ხელშეწყობის სფეროში. პროექტი - საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრის და მიგრაციის მართვის მიმართულებით - დაფინანსებულია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივისა და თანამშრომლობის პროგრამის მიერ და 42 თვის განმავლობაში განხორციელდება. ინიციატივის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ქართველი დაბრუნებული მიგრანტების შესაძლებლობების გაფართოება საზოგადოებაში რეინტეგრაციის მიზნით. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მართული მოხილურობის ცენტრები თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში სთავაზობს დანტერესებულ პირებს გამგზავრების წინა ინფორმაციას და დაბრუნების შემდგომ რეინტეგრაციაში დახმარებას დაბრუნებულ ქართველებისთვის,



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

რომელთა წინაშე ცხოვრების ხელახლა აწყობის პრობლემა დგას. აღნიშნულ ცენტრებში სხვადასხვა სერვისებია ხელმისაწვდომი: სამედიცინო დახმარებიდან და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებიდან დაწყებული მცირე ბიზნეს პროექტების დაფინანსებით დამთავრებული. 2014 წლის თებერვლიდან, ცენტრში კონსულტაციები მიიღო 222 დაბრუნებულმა ადამიანმა, რომლებიც 24 სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. რეინტეგრაციის დახმარებაზე უფლებამოსილ დაბრუნებულ პირთა შორის (96), უმრავლესობა საბერძნეთიდან (34%) და გერმანიიდან (16%) ჩამოვიდა. მცირეოდენი შეფერხებაა პოლიტიკის ძირითადი ინიციატივების და ინსტიტუციონალური მექანიზმების ჩამოყალიბების კუთხით, რომლებიც საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა დაგეგმეს იმიგრაციის შესახებ ახალი კანონის განხორციელების კუთხით. ეს უკანასკნელი ძალაში 2014 წლის 1 სექტემბრიდან შევა.

დამატებითი ინფორმაცია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტის საქმიანობის შესახებ იხილეთ:  
[www.informedmigration.ge](http://www.informedmigration.ge)

### ვინ ვინ არის? მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო



მიგრაციის  
საკითხთა  
სამთავრობო  
კომისია

საქართველოში მიგრაციის პროცესების ეფექტიანი მართვისა და სხვადასხვა უწყებებში გადანაწილებული კომპეტენციების კოორდინაციის

მიზნით 2010 წლის 13 ოქტომბერს ჩამოყალიბდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. კომისიას ანალიტიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ევროკავშირის რეკომენდაციითა და მხარდაჭერით შექმნილი სამდივნო უწევს. სამდივნოს მიზანია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის საქმიანობისა და მიგრაციის სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულების მხარდაჭერა და ტექნიკური, ორგანიზაციული და ინტელექტუალური დახმარების გაწევა. იგი ასევე მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრსა, ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, და პარტნიორ სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობის მაკოორდინირებელ ორგანოა.

წყარო: [http://migration.commission.ge/index.php?article\\_id=35&clang=1](http://migration.commission.ge/index.php?article_id=35&clang=1)

### საკონტაქტო ინფორმაცია

ქ-ნი ვიოლეტა ვაგნერი, ICMPD პროექტის მენეჯერი,  
[violeta.wagner@icmpd.org](mailto:violeta.wagner@icmpd.org)

ბ-ნი ზურაბ ყორღანაშვილი, ICMPD-ს წარმომადგენელი საქართველოში,  
[zurab.korganashvili@icmpd.org](mailto:zurab.korganashvili@icmpd.org)

საქართველო, თბილისი 0171  
 აფაქიძის ქ. N11,  
 III სართული, ოთახი 119

[www.enigma.ge](http://www.enigma.ge)  
[www.icmpd.org](http://www.icmpd.org)

გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები და კომენტარები გამოუგზავნოთ ქ-ნ ნათია მეჩიტაშვილს შემდეგ მისამართზე:  
[natia.mechitishvili@icmpd.org](mailto:natia.mechitishvili@icmpd.org) or [enigma@icmpd.org](mailto:enigma@icmpd.org).

დამატებითი ინფორმაცია პროექტის, მისი ღონისძიებებისა და მიღწევების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ პროექტის ვებ გვერდზე. დამატებით, პროექტის გუნდი რეგულარულად დადებს ინფორმაციას საქართველოში მიგრაციის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ასევე მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა შრომითი მიგრაცია, დიასპორის პოლიტიკა, სავიზო და საკონსულო საქმეთა პოლიტიკა, ადამიანის უფლებები, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, და სხვა.

ეწვიეთ ჩვენს ვებ გვერდს: <http://www.enigma.ge/>





სავიზო პოლიტიკის დარგში. ექსპერტებმა სავიზო პოლიტიკის ეროვნული კანონმდებლობა განიხილეს. მათ შორის, საქართველოს ახალი კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ. ექსპერტებმა ასევე მონიტორინგი გაუწიეს ვიზის შესახებ ახალი კანონქვემდებარე აქტების შედგენის პროგრესს და მიმართულებები მისცეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში პროექტი ENIGMMA-ს ეროვნულ ექსპერტს. აღნიშნულმა ექსპერტებმა ასევე შეიმუშავეს დეტალური რეკომენდაციები შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ამასთან, შეთანხმებულია სასწავლო ვიზიტების გამართვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის შენგენის/ევროკავშირის სავიზო პოლიტიკისა და ეროვნული და შენგენის ვიზის გაცემის პროცედურის საუკეთესო პრაქტიკის გასაცნობად.

### ლეგალური მიგრაცია

2014 წლის 21-23 ივლისს, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის ფარგლებში განხორციელებული პროექტის „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა სამ სამუშაო ENIGMMA შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის წევრები, ასევე კომისიის საკონსულტაციო სტატუსის მქონე წევრი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ამ უკანასკნელთა მიერ სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ კანონქვემდებარე აქტებზე გაკეთებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვა. განხილვის შედეგად დოკუმენტებში აისახა რიგი რეკომენდაციები, რომელთა საბოლოო ვერსია აგვისტოს დასაწყისში წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

### დაგეგმილი ღონისძიებები

#### კვლევა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ

განაცხადების მიღება „საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში პირადი მონაცემების დაცვის საბაზისო კვლევის“ ჩატარების შესახებ (ტენდერი ICMPD/14001/SER/GE) ოფიციალურად დასრულდა. ტენდერში „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრმა“ გაიმარჯვა, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდება. კვლევა 2014 წლის აგვისტოდან 2015 წლის მარტამდე ჩატარდება. მას ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან მოწვეული ექსპერტი უხელმძღვანელებს, ვისაც მონაცემებთა დაცვის შესახებ ევროპულ კანონმდებლობაში სათანადო გამოცდილება გააჩნია და რომელიც პროექტმა ENIGMMA წარადგინა. კვლევის შედეგებს საქართველოში პირადი მონაცემების დაცვის ინსპექტორი გამოიყენებს მიგრაციის სფეროში პირადი მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მონიტორინგის, არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების, კონკრეტული ნაბიჯებისა და რეკომენდაციების შემუშავებისა და საქართველოში მიგრაციის სფეროში პირადი მონაცემების დაცვის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

#### ტრენინგი კონსულტებისათვის

2014 წლის 18-27 აგვისტოს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში, პროექტის ENIGMMA ორგანიზებით ტრენინგები ჩატარდება საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულოების წარმომადგენლებს. სხვა

საკითხების გარდა ტრენინგის მთავარი თემა უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ საქართველოს კანონის ირგვლივ ახალი დადგენილებებიც იქნება.

#### მიგრაციის შესახებ მონაცემთა მართვა

მიგრაციის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების მიზნით, გამოიკვეთა მიგრაციის შესახებ სანდო მონაცემების და სათანადო ანალიტიკური მექანიზმების ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში ასახვის საჭიროება. შესაბამისად, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს ფარგლებში სათანადო სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც მიგრაციის შესახებ მონაცემთა ანალიტიკური სისტემის შექმნაზე არის პასუხისმგებელი. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი აღნიშნულ სამუშაო ჯგუფთან სისტემის შექმნის მიზნით ითანამშრომლებს, სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილი კონცეპტუალური დოკუმენტის შესაბამისად. კომპონენტის ფარგლებში, ასევე, ექსპერტული დახმარება და სასწავლო ვიზიტები არის გათვალისწინებული.

#### დისტანციური სკოლა დიასპორის წარმომადგენლებისთვის

პროექტის ENIGMMA სურვილია დაეხმაროს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს ონლაინ სკოლის კონცეფციის შემუშავებაში. სამინისტრომ პროექტს დისტანციური სკოლის ჩამოყალიბების მხარდაჭერაში თანამშრომლობის, დახმარების ტიპის განსახილველად მიმართა, გაიზიარა კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი და ინიციატივის განხორციელებისთვის ადგილობრივი ექსპერტის აყვანა ითხოვა.

#### სტაჟირება ICMPD კვლევით განყოფილებაში

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოში ENIGMMA-ს მიერ შეიქმნა საპილოტე ანალიტიკური ერთეული. აქ დასაქმებული მკვლევარები, ასევე ორი წარმომადგენელი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაივლიან სტაჟირებას ICMPD სათაო ოფისში მოქმედ კვლევით განყოფილებაში, სადაც მათ საშუალება მიეცემათ გაეცნონ აღნიშნული ორგანიზაციის მიერ მიგრაციის სფეროში წარმოებული კვლევის მეთოდოლოგიას და გაიღრმავონ პროფესიული საკონტაქტო ქსელი მიგრაციის კვლევის სფეროში.

#### საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის გაწეული დახმარება

გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან თანამშრომლობით და პროექტ ENIGMMA-ს ორგანიზებით იგეგმება სამინისტროში ახლად შექმნილი წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის შეგროვების განყოფილებისა და ლტოლვილთა დეპარტამენტის წარმომადგენლებისათვის სამუშაო შეხვედრა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის შეგროვების თემაზე. სემინარის დროს ჩატარდება სხვადასხვა აქტივობები შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით, მაგალითად, კვლევისა და წარმოშობის ქვეყნების შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შეგროვების უნარები, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მიერ წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შიდა პროცედურები და აღნიშნული ინფორმაციის სათანადოდ გამოყენება შესაბამის პროცედურებში, ერთობლივი სამუშაო ჯგუფები, და სხვა. სამუშაო შეხვედრა ტარდება ICMPD თავშესაფრის საკითხებზე მომუშავე კომპეტენციის ცენტრისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნის (პოლონეთი) მხარდაჭერით.



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ







სამიზნე ქვეყანაში: საბერძნეთში (ათენი), გერმანიაში (ბერლინი) და თურქეთში (სტამბოლი). ღონისძიება ერთ-დღიანი საინფორმაციო ფორუმის ფორმატით იყო ორგანიზებული და მასზე მიგრაციის მართვის პროცესში ჩართული საქართველოს სახელმწიფო უწყებებიც იყვნენ წარმოდგენილნი. ღონისძიება ქართველი ემიგრანტებისა და დიასპორის წარმომადგენლების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით კონსულტაციების გაწევასა და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებას ისახავდა მიზნად. ღონისძიებები საზღვარგარეთ მოქმედი საქართველოს საელჩო/საკონსულოების, ემიგრანტების, დიასპორის წარმომადგენლებისა და მასპინძელი ქვეყნების უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მხარდაჭერით განხორციელდა და დამსწრეთა შორის დადებითი გამოხმაურება მოჰყვა.

### ბუდაპეშტის პროცესი

2-3 ივნისს უნგრეთში, როგორც პროექტის „აბრეშუმის გზის პარტნიორობა მიგრაციისათვის ბუდაპეშტის პროცესის ფარგლებში“ ძირითადად პარტნიორმა, ბუდაპეშტში შინაგან საქმეთა სამინისტროში პროექტის ინიცირების კონფერენციას უმასპინძლა. ბუდაპეშტის პროცესის ეგიდით მიმდინარე სამწლიანი პროექტი ევროკავშირის მიერარისდაფინანსებული, ბულგარეთის, უნგრეთის, შვეიცარიისა და თურქეთის თანადაფინანსებით და ხორციელდება ICMPD-ის მიერ.



კონფერენცია მიზნად ისახავდა ბუდაპეშტის პროცესის ყველა მონაწილე ქვეყანაში ცნობიერების ამაღლებასა და „აბრეშუმის გზის პარტნიორობის პროექტის“ მხარდაჭერის დადასტურებას. ღონისძიებაზე პროექტის სამუშაო გეგმა, მოდულები და თემატური მიმართულებები და აბრეშუმის გზის რეგიონში დასრულებული პროექტების ღონისძიებები განიხილეს. პროექტის პარტნიორმა ქვეყნებმა, ასევე, ხელი მოაწერეს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს პროექტის ფარგლებში საკუთარი ვალდებულებისა და მჭიდრო თანამშრომლობის დასადასტურებლად.

### პრალის პროცესი

პრალის პროცესის მეორე შეხვედრა თავშესაფრისა და საერთაშორისო დაცვის შესახებ ეროვნული პარტნიორებისთვის 2014 წლის 25 ივნისს ვარშავაში გაიმართა. ღონისძიებაში წამყვანი და მონაწილე სახელმწიფოების 47 წარმომადგენელმა, საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებმა და პრაქტიკოსებმა მიიღეს მონაწილეობა.

### ENIGMMA-ს საქმიანობა

#### საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის თემაზე გამართული საერთაშორისო კონფერენცია

ENIGMMA-ს კონფერენციის „მიგრაციის სტრატეგიის ერთი წელი საქართველოში: მიღწეული შედეგები და სამომავლო გზები“ დასკვნები უკვე ხელმისაწვდომია. კონფერენცია ჩატარდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

კონფერენცია გაიმართა თბილისში სასტუმროში “Holiday Inn”, 2014



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

წლის 30 აპრილს და მას საქართველოს სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრები), საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და საქართველოში მიგრაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები ესწრებოდნენ.

კონფერენციის დასკვნები შეგიძლიათ იხილოთ: [http://enigma.ge/wp-content/themes/twentytwelve\\_2/docs/filestoupload/11.pdf](http://enigma.ge/wp-content/themes/twentytwelve_2/docs/filestoupload/11.pdf)

### პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს რიგით მეორე შეხვედრა

2014 წლის 19 ივნისს თბილისში (საქართველო), იუსტიციის სახლში სამეთვალყურეო საბჭოს რიგით მეორე შეხვედრა გაიმართა. ის მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრისა და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა. ღონისძიებაში საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის, სამდივნოსა და საქართველოში მიგრაციასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეხვედრის განმავლობაში საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას წარედგინა და გადაეცა ENIGMMA პროექტის საწყისი ეტაპის ანგარიში.

ღონისძიების შესახებ დამატებითი ინფორმაცია და ფოტო გალერეა იხილეთ:

<http://www.enigma.ge/news/project-steering-committee-meeting-n2/>

ENIGMMA-ს საწყისი ეტაპის ანგარიში: <http://www.enigma.ge/news/inception-report/>

### აკადემიასთან თანამშრომლობა

პროექტის ფარგლებში იდენტიფიცირებული და შერჩეული იქნა ერთი ევროპელი და ერთი ქართველი აკადემიური პერსონალი, რომელიც ENIGMMA პროექტის ფარგლებში აკადემიურ კომპონენტს გაუძღვება. 2014/2015 აკადემიური წლების განმავლობაში ლექციის გეგმის შემუშავებისთვის პირველი ნაბიჯები თბილისში ექსპერტთა მისიის განმავლობაში, 2014 წლის 16-17 ივნისს გადაიდგა. პროექტის პროგრამის თანახმად, საქართველოს უნივერსიტეტებში საჯარო ლექციები (სემინარები/დისკუსიები) გაიმართება შემდეგ საკითხებზე: ადამიანის საერთაშორისო უფლებების დაცვა; მიგრაციის შესახებ საერთაშორისო და ევროკავშირის კანონმდებლობა; ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკა; მიგრაციასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების კვლევა და შეფასება; მიგრაციასა და განვითარებას შორის კავშირები; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მიგრაციასთან დაკავშირებით; მიგრაციისა და მობილურობისადმი გლობალური მიდგომა. თბილისში ექსპერტთა მისიის ფარგლებში შეხვედრა მოეწყო საქართველოს სამ უმაღლეს სასწავლებელთან: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, კავკასიის ბიზნეს სკოლასა და საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტთან.

### სავიზო პოლიტიკა

2014 წლის 10-13 ივნისს თბილისში ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან (ავსტრია და სლოვენია) მოიწვიეს ექსპერტები





## 6. რა არის ასოცირების დღის წესრიგი?

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის მიზანია ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებისთვის მომზადებისა და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა. ასოცირების დღის წესრიგი წარმოადგენს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას. ასოცირების დღის წესრიგს ხელი მოაწერეს ხელშეკრულების ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე 2014 წლის 26 ივნისს.

წყარო: [http://eeas.europa.eu/association/docs/agreements\\_en.pdf](http://eeas.europa.eu/association/docs/agreements_en.pdf)

## ინტერვიუ ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელთან ბ-ნ ფილიპ დიმიტროვთან

დასაწყისი იხილეთ პირველ გვერდზე

**პროექტი ENIGMMA:** ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა დღეს დისკუსიის საგანია. რატომ არის ეს ხელშეკრულება მნიშვნელოვანი საქართველოსთვის?

**ბ-ნი ფილიპ დიმიტროვი:** უპირველეს ყოვლისა, ნება მომეცით აღვნიშნო, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროპაში ინტეგრირებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ხელშეკრულება არ წარმოადგენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოპალარაკების საბოლოო ეტაპს, არამედ იგი ახალი ფაზაა, ახალი ისტორიის დასაწყისია. ასოცირების ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის ასპექტებით საქართველოს უფრო მიმზიდველს გახდის ბიზნესისათვის. თუმცა, იგი ასევე ქმნის მეტი რეფორმებისა და მუშაობის საჭიროებას. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირი და საქართველოც მყარად იდგნენ არჩეულ კურსზე და შეინარჩუნონ დემოკრატიულ ღირებულებებისაკენ სწრაფვა.

**პროექტი ENIGMMA:** მიგრაციის საკითხი ერთ-ერთი პრიორიტეტული თემაა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში და ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა ხშირად მიგრაციის მართვის სფეროში პროგრესის შეფასების მექანიზმად მოიაზრება. რა არის ამ დოკუმენტის მთავარი მახასიათებლები და რას მოიტანს იგი?

**ბ-ნი ფილიპ დიმიტროვი:** საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მიგრაციის მართვის კუთხით. ევროკავშირი მზადაა მხარი დაუჭიროს ამ პროცესს. 2007 წლის 16 მაისს ევროკომისიამ გამოსცა კომუნიკე, „ცირკულარული მიგრაცია და პარტნიორობა მობილურობისათვის ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის“, რომლის მიზანია ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება, მიგრაციის დინების მართვა (რეგისტრაცია, მონიტორინგი, ანალიზი, პოლიტიკის განსაზღვრა), ლეგალური გადაადგილების შესაძლებლობების შესაძლებლობების შექმნა და არაკანონიერი მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა. პარტნიორობა მობილურობის შესახებ ხელშეკრულების ერთობლივ დეკლარაციას საქართველოსა და ევროკავშირის 16 წევრ ქვეყანას შორის 2009 წლის 30 ნოემბერს მოეწერა ხელი. ინიციატივის „პარტნიორობა მობილურობის შესახებ“ მიზანია მიგრაციის საკითხებზე თანამშრომლობა, როგორცაა მიგრაციის მართვა, შრომითი მიგრაცია, რეადმისია, რეინტეგრაცია, დიასპორა, დოკუმენტების უსაფრთხოება, მიგრაციის ერთიანი მონაცემთა ბაზა და ინფორმაციის გაცვლა ევროკავშირთან, შრომითი ბაზარი და პროფესიონალური კვალიფიკაციების აღიარება. 2011 წელს

ძალაში შევიდა ორი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება ვიზის ფასილიტაციის და რეადმისიის შესახებ. შედეგად, 2002 წელს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზის ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგი დაიწყო. ვიზის ლიბერალიზაციის პროცესის განხორციელების ხელშეწყობად საქართველომ მრავალი რეფორმა გაატარა. შესაბამისად, 2013 წლის 25 თებერვალს, ევროკომისიარის სესილია მალსტრომის ვიზიტის განმავლობაში, საქართველოს მთავრობას ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა გადაეცა. სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია ვიზის ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად საქართველოს მიერ განსახორციელებელი სამომავლო ნაბიჯების ნუსხა ოთხი სტანდარტული მიმართულების თანახმად (დოკუმენტების უსაფრთხოება, არალეგალური მიგრაცია; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; საგარეო საქმეები და ადამიანის უფლებები). ამ ნაბიჯების წარმატებული განხორციელებით საქართველოს მთავრობა შეძლებს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შესახებ დაიწყოს მოლაპარაკება.

**პროექტი ENIGMMA:** რას ელით პროექტიდან ENIGMMA, რომელიც წინა დეკემბერს დაიწყო?

**ბ-ნი ფილიპ დიმიტროვი:** ENIGMMA პროექტია ეგრეთ წოდებული „მეტი მეტისათვის“ პროგრამის ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში მიგრაციის მართვის სისტემის გაძლიერებას, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის მიერ მიგრაციის სტრატეგიაში დასახული პრიორიტეტების და ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ექსპერტების აქტიური ჩართულობით მხარს დაუჭერს საქართველოს კვალიფიკაციის ამაღლებასა და ინსტიტუციონალური რეფორმების გატარებაში მიგრაციის მართვის შემდეგ სფეროებში: ლეგალური მიგრაცია, ადამიანის ძირითადი უფლებები, ანალიტიკური შესაძლებლობები და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის ჩამოყალიბება.

**პროექტი ENIGMMA:** რა არის საჭირო პროგრამის „მეტი მეტისათვის“ განსახორციელებლად საქართველოში?

**ბ-ნი ფილიპ დიმიტროვი:** როგორც უკვე აღვნიშნე, მნიშვნელოვანია, რომ პროცესში ჩართული სააგენტოები, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება დასახული მიზნების ერთგულნი დარჩნენ და გააგრძელონ აქტიური თანამშრომლობა და ჩართულობა. მხოლოდ ასეთი თანამშრომლობა გახდება საუკეთესო პრაქტიკის წარმატებული გაცვლის და საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროს შემდგომი გაუმჯობესების მყარი საფუძველი.

**პროექტი ENIGMMA:** დიდი მადლობა რომ დრო დაგვითმეთ.

**მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის ძირითადი საქმიანობა საქართველოსა და რეგიონში**

## ERGM

2014 წლის ივნისი/ივლისში პროექტის „ქართველი ემიგრანტების როლის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ICMPD და DRC-ის მიერ ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, საინფორმაციო დღე გაიმართა პროექტის სამ



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





## დასაწყისი იხილეთ პირველ გვერდზე

**1. რა არის ასოცირების შესახებ შეთანხმება?**

ასოცირების შესახებ შეთანხმება ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირისარაწევრქვეყანას შორის დამიზნადისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. ასოცირების შესახებ შეთანხმება სამართლებრივად სავალდებულოა. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. საქართველოსთვის ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით, გაფორმების პერსპექტივა გაიხსნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივით. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (PCA) და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს. PCA-სთან შედარებით, ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს თანამშრომლობის უფრო გაღრმავებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ძირითადი მიმართულებებია:

**ძირითადი რეფორმები:** მოსალოდნელია რეფორმების გატარება რამდენიმე ძირითად სფეროში. მათ შორის, საჯარო მმართველობის, სასამართლო, სამართალდამცავი ორგანოების, ეკონომიკური წინსვლისა და ზრდის და მომხმარებლის დაცვის კუთხით. ასევე დაგეგმილია რეფორმები ისეთ სექტორებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა, ინდუსტრიული განვითარება, სოციალური განვითარება და უსაფრთხოება, განათლება, ახალგაზრდები და კულტურა.

**ღირებულებები:** ხელშეკრულებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დემოკრატიას და კანონის უზენაესობას, ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებებსა და თავისუფლებებს, მმართველობას, გამართულ საბაზრო ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას.

**2. ითვალისწინებს თუ არა ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირში გაწევრიანებას?**

ასოცირების შესახებ შეთანხმება არ ითვალისწინებს ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა, შეთანხმება ევროკავშირთან და მის კანონმდებლობასთან (*acquis*) დაახლოვების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის მომავალი ურთიერთობისთვის გრძელვადიან საფუძველს ქმნის, თუმცა, არ გამოორიცხავს ურთიერთობის სამომავლო განვითარებას ევროკავშირის ხელშეკრულების (*Treaty on European Union*) შესაბამისად. ასოცირების შესახებ შეთანხმების პრეამბულაში ნათქვამია, რომ მხარეთა საერთო სურვილია, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააღრმავონ ურთიერთობები ამბიციური და ინოვაციური გზით; ასოცირების

შესახებ შეთანხმება არ შეზღუდავს დალიას დატოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების სამომავლო პროგრესული განვითარების გზას. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი და აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა – ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს. ამასთან, ნათქვამია, რომ საქართველო, როგორც აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა, ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ ღირებულებებით და ხელი შეუწყოს მათ დამკვიდრებას. შეთანხმებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ ისტორიული კავშირები და საერთო ღირებულებები.

**ვაჭრობა:** ხელშეკრულების შედეგად ხელმომწერ მხარეებს სავაჭრო ურთიერთობებისა და ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობა ეძლევათ. ღია საბაზრო ურთიერთობების მიღწევა საბაჟო ტარიფებისა და კვოტების პროგრესული შემცირებისა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სექტორებში კანონების, ნორმებისა და რეგულაციების ჰარმონიზების გზით იქნება შესაძლებელი. ასოცირების ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებში სტაბილურობისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, ახალ ბაზრებს გახსნის ევროკავშირის ბიზნესისთვის და შექმნის დაცულ ბიზნესგარემოს აღნიშნულ სამ ქვეყანაში ინვესტიციების განსახორციელებლად.

**3. რას ითვალისწინებს შეთანხმება ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით?**

შეთანხმების შესაბამის ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობას, მათ შორის, შესაბამის ეტაპზე უვიზო რეჟიმის შემოღებას, კარგად მართულ და უსაფრთხო გარემოში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში დამოუკიდებელი პროცესია, რომელიც საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის ფორმატში მიმდინარეობს. ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მიღწევის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას „ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ეფექტიანი შესრულება წარმოადგენს. საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების გავლენის შეფასებისა და შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შემოღებული იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის სივრცის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, ხალხთა შორის კონტაქტების გააქტიურების ძირითადი ინსტრუმენტი და ევროკავშირთან შემდგომი დაახლოვების ეფექტური საშუალებაა.

ხელმოწერის შემდეგ მნიშვნელოვანი შიდა რეფორმები იქნება გასატარებელი. ამ კუთხით, ევროკავშირი და თითოეული ქვეყანა შემდეგი მიმართულებით ითანამშრომლებენ: კანონის უზენაესობის გამყარება, სასამართლო რეფორმების ხელშეწყობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. თანამშრომლობა 2014 წლის 26 ივნისს ხელმოწერილ დღის წესრიგს ეფუძნება.

წყარო: [http://europa.eu/rapid/press-release\\_MEMO-14-430\\_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-14-430_en.htm);  
<http://eeas.europa.eu/association/>



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





# მიგრაციის საკითხებზე საინფორმაციო ბიულეტენი # 2

## კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი

### დგირფასო მკითხველო!



ICMPD ENIGMMA პროექტის გუნდი სიამაყით წარმოგიდგენთ მიგრაციის საკითხებზე საქართველოში მომზადებული საინფორმაციო

ბიულეტენის მეორე ნომერს. ბიულეტენი დაფინანსებულია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის, კერძოდ კი, პროექტის საქართველოში მიგრაციის მართვის გაუმჯობესება (ENIGMMA) მიერ, რომელსაც საქართველოში ახორციელებს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD).

საინფორმაციო ბიულეტენის მთავარი მიზანია, გააცნოს ქართველ და უცხოელ მკითხველს მიგრაციის მართვის სფეროში არსებული რეალური მდგომარეობა საქართველოში, ასევე მიგრაციის სფეროში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, აღწეროს ქვეყანაში მიგრაციასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა და განიხილოს სამომავლო პერსპექტივები. ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ პროცესში ჩართულ და დაინტერესებულ ნებისმიერ მხარესთან და პირებთან იქნება ეს სახელმწიფო ორგანოები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრები თუ აკადემიური წრეებისა და მედიის წარმომადგენლები. გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი შენიშვნები, მოსაზრებები და კომენტარები საინფორმაციო ბიულეტენის ბოლოს მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. ამასთანავე, შეგიძლიათ გამოაგზავნოთ თქვენი მოსაზრებები იმაზე, თუ რისი გაუმჯობესება შეიძლება.

### ICMPD ENIGMMA პროექტის გუნდი

### ამ ნომერში თქვენ გაეცნობით შემდეგ საკითხებს:

#### სიახლეები:

- ინტერვიუ ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელთან, ბ-ნ ფილიპ დიმიტროვთან
- საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების მიმოხილვა და ხშირად დასმული კითხვები

#### ბიულეტენის მუდმივი რუბლიკები:

- ICMPD საქმიანობა საქართველოსა და მთლიანად რეგიონში
- პროექტ ENIGMMA-ს ამჟამინდელი და შემდგომი ეტაპის საქმიანობა
- საქართველოში მიგრაციის რეგულირების სფეროში არსებული სიახლეები
- ვინ ვინ არის? მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო

### საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მიმოხილვა

ასოცირების ხელშეკრულებები საერთაშორისო დოკუმენტებია, რომლებსაც ევროკავშირი მესამე ქვეყნებთან ორმხრივი

ურთიერთობების ყოვლისმომცველი ჩარჩოს ჩამოყალიბების მიზნით აფორმებს. რამოდენიმე კვირის წინ, 2014 წლის 27 ივნისს, ევროკავშირმა ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი საქართველოსთან, მოლდოვეთის რესპუბლიკასა და უკრაინასთან. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო როგორც ევროკავშირისათვის, ასევე აღნიშნული ქვეყნებისთვისაც, რადგან ხელშეკრულების მიზანი ხელმომწერ ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაა უფრო მჭიდრო პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გრძელვადიანი პერსპექტივით. ეს პროცესი ევროკავშირსა და თითოეულ ქვეყანას შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შექმნასაც გულისხმობს.

### გაგრძელება 2-ე გვერდზე

### ინტერვიუ ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელთან ბ-ნ ფილიპ დიმიტროვთან

**პროექტი ENIGMMA:** გთხოვთ, მოკლედ აღწერეთ საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ბოლო მიღწევები?



#### ბ-ნი. ფილიპ დიმიტროვი:

საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობა 1992 წელს დაიწყო, მაღევე საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენიდან. საქართველო-ევროკავშირის ორმხრივი ურთიერთობები პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებით რეგულირდება, რომელსაც

1996 წელს მოეწერა ხელი. 2004 წელს საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. 2009 წლის გაზაფხულზე, ევროკავშირმა დაიწყო აღმოსავლეთ პარტნიორობა საქართველოში, ისევე როგორც სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვეთსა და უკრაინაში პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერის მიზნით. აღმოსავლეთ პარტნიორობით მოიაზრება უფრო მყარი პოლიტიკური ასოცირება ევროკავშირთან, კერძოდ კი ახალი ასოცირების ხელშეკრულებების გაფორმების პერსპექტივა და ევროკავშირის ეკონომიკაში ინტეგრირება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონით. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ქეთრინ ეშტონმა, 2010 წლის 15 ივლისს, ბათუმში, ევროკავშირი-საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების თაობაზე დაიწყო მოლაპარაკება. 2013 წლის ივლისში, ევროკავშირმა და საქართველომ დაასრულეს მოლაპარაკებები ასოცირების ხელშეკრულების და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის თაობაზე და ასოცირების ხელშეკრულებას ოფიციალურად რამოდენიმე დღის წინ, 27 ივნისს მოეწერა ხელი.

### გაგრძელება 3-ე გვერდზე



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



აქ წარმოდგენილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს